რეფლექსია

პროექტის იდეა მისი აქტუალობიდან მომდინარეობს. მოსწავლეებისგან ხშირად მსმენია ქართული ენის შესატყვისი სიტყვის ინგლისური ბარბარიზმებით ჩანაცვლება. რაც არ არის სახარბიერო არც სამიზნე ენისათვის (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ინგლისურ ენას, რადგან სამწუხაროდ ბავშვები გაუაზრებლად იყენებენ ინგლისურიდან შემოსულ ბარბარიზმებს) და არც მშობლიური ენისათვის. ქართული უნიკალური ენაა და მინდოდა ეს ჩემი მოსწავლეებისათვის შემეხსენებინა. ამასთან მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში უკვე გავლილი ჰქონდათ ბარბალიზმები და სლენგები, შესაბამისად თემატიკა უცხო არ იყო მათთვის. სწორედ ამიტომ ჩვენი პროექტიც წინარე ცოდნის გააქტიურებით დავიწყეთ.

პროექტზე მუშაობა ძალზედ წარმატებით წარიმართა. პროექტის დასაწყისში დასახული მიზნები ბოლომდე იქნა მიღწეული, კერძოდ: პროექტის დასაწყისშივე გამოვავლინეთ თემის აქტუალობა, შემდეგ წინარე ცოდნა გავააქტიურეთ მინი ლექციით. გამოვიყენეთ გონებრივი იერიში რომლის დახმარებითაც ბავშვებმა მოახდინეს კონკრეტული სიტყვებისა და ტერმინების გენერირება. მოსწავლეები დაიყვნენ სამ ჯგუფად და დაიწყეს პრეზენტაციაზე მუშაობა. მოსწავლეები წარსდგნენ ძალზედ საინტერესო პრეზენტაციებით ჯგუფის წინაშე. პროექტის მომდევნო ეტაპზე ჯგუფის წევრები შეხვდნენ ლინგვისტს და ჩაწერეს ინტერვიუ, დაუსვეს მათთვის საინტერესო კითხვები, მოიძიეს კონკრეტული სიტყვის სწორი ქართული შესატყვისი ქართული ენის პედაგოგის დახმარებით, ამ პროცესმა ძალზედ სახალისოდ და ნაყოფიერად ჩაიარა. ბავშვები ჯგუფებად მუშაობდნენ, რასაც მონიტორინგს ვუწევდი წინასწარი შემუშავებული შეფასების რუბრიკით და საჭიროების შემთხვევაში ვეხმარებოდი მათ და ვაძლევდი უკუკავშირს. ყველა აქტივობა წარიმართა გეგმის შესაბამისად, გარდა გამოკითხვისა, უამინდობის გამო აღნიშნული აქტივობა გადაიდო ერთი დღით, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პროექტი განგვეხორციელებინა დადგენილ ვადებში. პროექტის მსვლელობის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა იყო მაღალი, ჯგუფის თითოეულ წევრს გაანალიზებული და გააზრებული ქონდა საკუთარი როლი და ფუნქცია ჯგუფის წარმატების მიღწევის საქმეში. ეს პროექტის ბოლო ეტაპებზე გამოჩნდა, როდესაც ისინი ემზადებოდნენ პრეზენტაციისთვის.

პროექტის მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმა უკვე იმუშავეს ბროშურასა და გაზეთზე რომელიც დაარიგეს მოსახლეობაში, ასევე მათ შექმნეს კედლის ლექსიკონი სადაც მოცემული იყო ბარბარიზმები თავისი სწორი ქართული შესატყვისით. პროექტზე მუშაობის პროცესში ბავშვებს განუვითარდათ ის სააზროვნო უნარები როგორიცაა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაითავისეს რას ნიშნავს თანამშრომლობითი მუშაობა და როგორ ეხმარება ის წარმატების მიღწევას. პროექტზე მუშაობის პროცესში აქტივობების დამატება და მოდიფიცირება არ მომხდარა, მივყვებოდით დაგეგმილ გზას.